ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო
სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა
და ეთიკის კომისია

დასკვნა:**დ05. 3724177001**
თარიღი:**25/06/2024**

დასკვნა

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების დადგენის შესახებ“ –

საკრებულოს დადგენილების პროექტზე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ შეისწავლა და განიხილა „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების დადგენის შესახებ“ - პროექტი (შემდგომში პროექტი) და დაადგინა:

1. მოქმედ „პროექტში“ შეტანილი ცვლილება ითვალისწინებს „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების (#2587 - XIმს -xმპ; 9.02.2023 წ.) საკრებულოს კანონის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად საჭიროა „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის“ ობიექტისა და მოსაკრებლის განაკვეთების ამ კანონთან შესაბამისობა. პროექტი სწორედ ამ მოთხოვნის გათვალისწინებით არის წარმოდგენილი.
2. კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღებისა და განაკვეთების დადგენის შესახებ“ - დადგენილების პროექტი განხილულ იქნას საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

პაატა კიღურაძე

სამანდატო, საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი